საქართველოს
კონკურენციის
ეროვნული სააგენტო

N 04/534
16.08.2023

ბრძანება

534-01-4-202308160924

შპს „დიპლომატ ჯორჯიასა“ (ს/კ 204557121) და შპს „კანტს“ (ს/კ 200140267) შორის დაგეგმილი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-3 და მე-6 პუნქტების, 11^1 მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 17^1 მუხლის მე-4 პუნქტის, „კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-8 მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-16 მუხლის და სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანებით დამტკიცებული „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების“ მე-20 მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს „გადაწყვეტილება შპს „დიპლომატ ჯორჯიასა“ (ს/კ 204557121) და შპს „კანტს“ (ს/კ 200140267) შორის განსახორციელებელი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ“ თანდართული სახით;

2. შპს „დიპლომატ ჯორჯიასა“ (ს/კ 204557121) და შპს „კანტს“ (ს/კ 200140267) შორის განსახორციელებელი კონცენტრაცია მიჩნეულ იქნეს კონკურენტულ გარემოსთან თავსებადად;

3. გადაწყვეტილება გაეგზავნოთ შეტყობინების საქართველოს კონკურენციის ეროვნულ სააგენტოში წარმომდგენ ეკონომიკურ აგენტებს;

4. გადაწყვეტილება მისი მიღებიდან 7 სამუშაო დღის ვადაში გამოქვეყნდეს კონკურენციის სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე, ანოტაციის ფორმით, სახელმწიფო, კომერციულ, პროფესიულ, პერსონალურ ან საგადასახადო საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვით;

5. ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64);

6. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ირაკლი ლექვინაძე



თავმჯდომარე

გადაწყვეტილება

შპს „დიპლომატ ჯორჯიასა“ (ს/კ 204557121) და შპს „კანტს“ (ს/კ 200140267)
შორის განსახორციელებელი კონცენტრაციის
კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ

I. ფაქტობრივი გარემოებები

საქართველოს კონკურენციის სააგენტოში 2023 წლის 11 ივლისს N01/2293 კორესპონდენციით შემოვიდა შეტყობინება ეკონომიკურ აგენტთა - შპს „დიპლომატ ჯორჯიასა“ (ს/კ 204557121) და შპს „კანტს“ (ს/კ 200140267) შორის დაგეგმილი კონცენტრაციის თაობაზე.

შეტყობინება მოიცავდა დადგენილი ფორმით მოთხოვნილ ინფორმაციას კონცენტრაციის შესახებ:

- ზოგადი მონაცემები კონცენტრაციაში მონაწილე ეკონომიკური აგენტების შესახებ;
- ზოგადი ინფორმაცია კონცენტრაციის შესახებ - ფორმა, მიზანი;
- ეკონომიკურ აგენტთა მახასიათებლები - კონცენტრაციის მხარეების წილის მფლობელები, დაკავშირებული კომპანიები, წლიური ბრუნვები 2022 წელს;
- კონცენტრაციის დეტალური აღწერა - შესაბამისი ბაზრის განსაზღვრა, უახლოესი 24 თვის ეკონომიკური და ბიზნეს გეგმები, კონცენტრაციის სავარაუდო შედეგები, ინფორმაცია კონცენტრაციის დადებითი და უარყოფითი ზეგავლენის შესახებ; კონცენტრაციის მოსალოდნელი შედეგების აღწერა; საკითხები, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს საკითხის დადებითად ან უარყოფითად გადაწყვეტაზე და რაზეც უნდა იქნეს სააგენტოს მიერ ყურადღება გამახვილებული; ასევე დაწვრილებით არის აღწერილი მეთოდი, რომლითაც კომპანიებმა ისარგებლეს შესაბამისი ბაზრის განსაზღვრისას.

შეტყობინებას თან ახლდა დანართები:

- შპს „დიპლომატ ჯორჯიასა“ (ს/კ 204557121) და შპს „კანტთან“ (ს/კ 200140267) დაკავშირებული ეკონომიკური აგენტების შესახებ ინფორმაცია (ნუსხა) დიაგრამის სახით;
- ინფორმაცია კონცენტრაციის მონაწილე მხარეების პროდუქციის შესახებ;
- ინფორმაცია კონცენტრაციის მონაწილე თითოეული მხარის მიერ უკანასკნელი ფინანსური წლის განმავლობაში შეძენილი და რეალიზებული ძირითადი საქონლის/მომსახურების შესახებ;
- ინფორმაცია უკანასკნელი ფინანსური წლის x განმავლობაში კონცენტრაციის მონაწილე თითოეული მხარის ძირითადი მომწოდებლებისა და შემსყიდველების/მომხმარებლების შესახებ.

ინფორმაცია კონცენტრაციაში მონაწილე ეკონომიკური აგენტების შესახებ:

- შპს „დიპლომატ ჯორჯიას“ (ს/კ 204557121) 100% წილის მფლობელია შპს „დიპლომატ დისტრიბუტორს (1968) ლიმიტედი“ (ს/კ 5104991225), რომელიც რეგისტრირებულია ისრაელში;
- შპს „დიპლომატ ჯორჯიას“ საქმიანობის სფეროა დისტრიბუცია, რომელიც ახორციელებს სწრაფი მოხმარების პროდუქციის („FMCG”) სხვადასხვა კატეგორიის იმპორტსა და დისტრიბუციას საქართველოში - სარეცხი და საწმენდი საშუალებების, თავის მოვლის

საშუალებების, ჰიგიენური საშუალებების, სასმელების, კვების/სასურსათო პროდუქტების. დიპლომატი პროდუქციას აწვდის როგორც საცალო ვაჭრობის ქსელურ და არა ქსელურ ობიექტებს, ასევე ე. წ. HORECA (სასტუმრო, რესტორანი, კაფე) ტიპის ობიექტებსა და აფთიაქებს. შემძენი ასევე ახორციელებს ცხოველთა საკვების დისტრიბუციას საქართველოს ტერიტორიაზე და პროდუქციით ამარაგებს ზოომაღაზიებს. კომპანიის ბრუნვამ 2022 წელს შეადგინა - [redacted] ლარი;

- შპს „კანტის“ (ს/კ 200140267) 100% წილის მფლობელია ფ/პ ალექსანდრე ხომერიკი (პ/ნ [redacted]). ალექსანდრე ხომერიკი ასევე ფლობს შპს „დანის“ 50% წილს, ხოლო შპს „კანტი“ ფლობს შპს „გლობალ ბევერიჯის“ (ს/კ 445398294) 100% წილს, სადაც დირექტორი არის ალექსანდრე ხომერიკი;
- შპს „კანტი“ არის სადისტრიბუციო და ლოგისტიკური კომპანია, რომელიც ძირითადად ახორციელებს „FMCG” პროდუქციის იმპორტსა და დისტრიბუციას საქართველოში. შპს „კანტი“ 2005 წლიდან ოპერირებს საქართველოს ბაზარზე და პროდუქციას აწვდის როგორც საცალო ვაჭრობის ქსელურ და არა ქსელურ ობიექტებს, ასევე ე.წ. HORECA (სასტუმრო, რესტორანი, კაფე) ტიპის ობიექტებსაც. შპს „კანტს“ ასევე აქვს წარმოება (ენერგეტიკული სასმელი 16TH) და საცალო რეალიზაცია (აპარატების, ე.წ. vending machines საშუალებით). კომპანიის ბრუნვამ 2022 წელს შეადგინა [redacted] ლარი.

კონცენტრაციის ფორმა:

კონცენტრაციის ფორმა არის შეძენა - შპს „დიპლომატ ჯორჯიას“ მიერ შპს „კანტზე“ კონტროლის მოპოვება მისი 75%-იანი წილის შესყიდვის გზით, დარჩენილი 25%-იანი წილის მომავალში შესყიდვის უფლებით (ე.წ. Put/Call option).

კონცენტრაციის მიზანი:

შპს „დიპლომატ ჯორჯიას“ მიზანია, რომ შპს „კანტის“ 75%-იანი წილის შეძენის გზით გააფართოვოს იმ პროდუქციის კატეგორიების ასორტიმენტი, რომელთა დისტრიბუციასაც ახორციელებს საქართველოს ტერიტორიაზე. გამყიდველის მიზანია, რომ გახდეს ისეთი გამოცდილი და წარმატებული კომპანიის პარტნიორი, როგორიც შპს „დიპლომატ ჯორჯიაა“. აღნიშნული ტრანზაქციის შედეგად შპს “კანტს“ შეუმცირდება ლოგისტიკური ხარჯები, რადგან შპს „დიპლომატ ჯორჯიას“ აქვს დიდი ლოგისტიკური ბაზა.

შეტყობინებაში მოცემულია მხარეების პოზიცია შესაბამის ბაზართან დაკავშირებით, კერძოდ კონცენტრაციისთვის სავარაუდო შესაბამის პროდუქციულ ბაზრად მიჩნეულია საკვები და სასმელი პროდუქტების საბითუმო ბაზარი, დამატებითი ქვეკატეგორიზაციის გარეშე. გეოგრაფიულ ბაზრად განსაზღვრულია ეროვნული დონე - საქართველო. პროდუქციის მიწოდება არ ხასიათდება სეზონურობით, შესაბამისად, მიჩნეულია, რომ ბაზარს არ გააჩნია დროითი ჩარჩო.

შეტყობინებაში განხილულია შესაბამისი პროდუქციული ბაზარი, კერძოდ, აღწერილია „FMCG” ბაზრის თავისებურებები როგორც საქართველოში, ისე მსოფლიოში. განხილულია „FMCG” ბაზრის 4 ძირითადი კატეგორია: 1) საკვები და სასმელი პროდუქტები; 2) თავის მოვლის პროდუქტები; 3) ჯანმრთელობასა და ჰიგიენაზე ზრუნვის პროდუქტები; 4) სახლის მოვლის საშუალებები. მითითებულია, რომ აღნიშნული კატეგორიებიდან საკვები და სასმელი პროდუქტების ბაზარი წილობრივად ყველაზე დიდია სხვა კატეგორიებთან შედარებით და სრული ბაზრის ნახევარზე მეტია.

შპს „დიპლომატ ჯორჯია“ წარმოდგენილია „FMCG” ბაზრის ოთხივე კატეგორიაში მხოლოდ იმპორტითა და საბითუმო დისტრიბუციით, ხოლო შპს „კანტი“ - მხოლოდ საკვები და სასმელი პროდუქტების ბაზარზე იმპორტით, საბითუმო დისტრიბუციით, წარმოებით (მხოლოდ ენერგეტიკული სასმელი 16TH) და საცალო რეალიზაციით (აპარატების, ე.წ. vending machines საშუალებით). აქედან გამომდინარე, მიჩნეულია, რომ საკვები და სასმელი პროდუქტების ბაზარი არის ის შესაბამისი ბაზარი, სადაც ტრანზაქციის მონაწილე ორივე ეკონომიკური აგენტი არის წარმოდგენილი, თავის მხრივ, აღნიშნული ბაზარი იყოფა ისეთ ქვეკატეგორიებად, როგორიცაა ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელები, ტკბილეული, ხორცის პროდუქტები, რძის პროდუქტები, კონსერვირებული პროდუქტები და ა. შ. მითითებულია, რომ შესაბამისი ბაზრის უფრო დეტალური განსაზღვრის საკითხს ევროკომისია ღიად ტოვებს იმ შემთხვევაში, როდესაც ოპერაცია არ იწვევს სერიოზულ ეჭვებს მის კონკურენტულ გარემოსთან შეუსაბამობის კუთხით და ამავე მიდგომას იზიარებს საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტო.

შეტყობინებაში მოცემულია, რომ კონცენტრაციაში მონაწილე ეკონომიკური აგენტების საკვები და სასმელი პროდუქტების ბაზარზე რამდენიმე ქვეკატეგორიის ბაზრებზე არიან წარმოდგენილი: 1) ალკოჰოლური სასმელები; 2) უალკოჰოლო სასმელები; 3) კონსერვირებული პროდუქცია და თითოეული ქვეკატეგორიის ბაზარი ინდივიდუალურად არის განხილული.

თავის მსჯელობებში კონცენტრაციის მხარეები ეყრდნობიან სხვადასხვა წყაროებს, მ. შ. TBC Capital-ის, Tecnavio-ს, Global Research & Data Services კვლევებს, ევროკომისიის გადაწყვეტილებებს, „მონდელიზ ნიდერლანდ სერვისის ბი. ვი.“-სა (Mondelez Nederland Services B.V.) და „ჩიპიტა ინდასთრიალ ქომერშიალ ქომფანი ეს. ეი.“-ს (Chipita Industrial and Commercial Company S.A.) შორის განსახორციელებელი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ“ საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს 2021 წლის 10 აგვისტოს გადაწყვეტილებას, საცალო ვაჭრობის ქსელური ობიექტების ბაზრის სექტორული მონიტორინგის დაწყების შესახებ საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 22 ივლისის N04/241 ბრძანების შესაბამისად განხორციელებული მონიტორინგის ანგარიშს, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებს და ა.შ.

შემძენის აზრით, ტრანზაქცია არ გამოიწვევს არსებით ცვლილებებს შესაბამის ბაზარზე. ტრანზაქციის შედეგად (არაპირდაპირ) გაიზრდება იმ პროდუქციის ასორტიმენტი, რომლის დისტრიბუციასაც შემძენი ახორციელებს საქართველოს ტერიტორიაზე. აღნიშნულმა შესაძლებელია, გამოიწვიოს დისტრიბუციის ხარჯების შემცირება და ასევე შედეგად მოიტანოს მომხმარებლის სარგებელი - სხვადასხვა სახის პროდუქტზე გაუმჯობესებული წვდომა, რაც დაკავშირებული იქნება შემძენის დისტრიბუციის ქსელის გაფართოებასა და გამრავალფეროვნებასთან და ლოგისტიკური ხარჯების შემცირებასთან. შემძენის აზრით, დაგეგმილი ტრანზაქცია არსებით გავლენას არ მოახდენს საცალო ვაჭრობის ბაზრის ისეთ სეგმენტზე, როგორიცაა არაორგანიზებული/არაბრენდირებული ქსელები და ინდივიდუალური მოთამაშეები.

მხარეები ადასტურებენ, რომ შეტყობინებაში წარმოდგენილი ინფორმაცია შეესაბამება სიმართლეს და მათთვის ცნობილია არასწორი ინფორმაციის მიწოდებით გამოწვეული საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სამართლებრივი შედეგები.

II. სამართლებრივი მიმოხილვა

სააგენტოსთვის წინასწარ შეტყობინებას დაქვემდებარებული კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების წარდგენის, განხილვისა და სააგენტოს მიერ გადაწყვეტილების მიღების მატერიალური და პროცედურული საკითხები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, კერძოდ: "კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით, "სსიპ საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 აპრილის N288 დადგენილებით, "კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების თაობაზე" კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 ბრძანებით, "ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე" კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანებით და სხვა.

სააგენტოსათვის წინასწარ შეტყობინებას ექვემდებარება კონცენტრაცია, რომელიც ერთობლივად აკმაყოფილებს "კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 და 11[1] მუხლების მოთხოვნებს.

1. „კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის (შემდეგში - კანონი) მე-11 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულია კონცენტრაციის განმარტება, ხოლო ამავე მუხლის მე-2 პუნქტით განისაზღვრება ის უფლებები, რომელიც გამოიყენება კონცენტრაციის მიზნებისთვის კონტროლის განსახორციელებლად;
2. კანონის მე-11 მუხლის შესაბამისად, სააგენტოსთვის წინასწარ შეტყობინებას დაქვემდებარებული კონცენტრაციის განხორციელება დასაშვებია მხოლოდ მისი კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ სააგენტოს გადაწყვეტილების საფუძველზე. ხოლო ამავე კანონის 33-ე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, სავალდებულო შეტყობინებას დაქვემდებარებული კონცენტრაციის სააგენტოს გვერდის ავლით განხორციელების შემთხვევაში, შეტყობინების წარმოდგენის ვალდებულების მქონე პირს ეკისრება ჯარიმა, რომლის ოდენობა არ აღემატება სააგენტოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანის წინა ფინანსური წლის წლიური ბრუნვის 5%-ს. ჯარიმის დაკისრება შეტყობინების წარმოდგენის ვალდებულების მქონე პირს არ ათავისუფლებს სააგენტოსთვის შეტყობინების წარმოდგენის ვალდებულებისგან. ჯარიმის დაკისრების პარალელურად, შეტყობინების წარმოდგენის ვადას, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსაზღვრავს სააგენტო და იგი არ შეიძლება იყოს 14 კალენდარულ დღეზე ნაკლები. სააგენტო განიხილავს კანონმდებლობის გვერდის ავლით განხორციელებულ კონცენტრაციას და იმ შემთხვევაში თუ ის მიიჩნევა დაუშვებლად, ჯარიმის დაკისრების პარალელურად მიმართავს სასამართლოს კონცენტრაციის გაუქმების და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მიზნით;
3. „კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების თაობაზე" კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 ბრძანების მე-3 მუხლის მიხედვით, სააგენტოსათვის წინასწარ სავალდებულო წერილობით შეტყობინებას ექვემდებარება კონცენტრაცია, თუ მისი მონაწილე ეკონომიკური აგენტების ერთობლივი (ჯამური) წლიური ბრუნვა საქართველოს ტერიტორიაზე, შეტყობინების წარმოდგენის ვალდებულების წარმოშობის წინა ფინანსური წლის მდგომარეობით, აღემატება 20 მილიონ ლარს და ამასთან, კონცენტრაციის მონაწილე მინიმუმ ორი ეკონომიკური აგენტიდან თითოეულის წლიური ბრუნვა აღემატება 5 მილიონ ლარს;

4. სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლის "ა" ქვეპუნქტის მიხედვით - შეძენის, ხელშეკრულებებით ან სხვა საშუალებებით კონტროლის მოპოვების შემთხვევაში, შეტყობინების წარმოდგენის ვალდებულება ეკისრება შემძენ ან/და კონტროლის უფლების მომპოვებელ პირს;
5. კანონის 11^1 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სააგენტოს მიერ კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვისთვის დაწესებული საფასური შეადგენს 5 000 ლარს;
6. კანონის 11^1 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების შესაბამისად, თუ დაგეგმილი კონცენტრაცია ექცევა კანონის რეგულირების სფეროში, სააგენტო კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვას იწყებს კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემდეგ და ამ დოკუმენტის წარდგენიდან არაუგვიანეს 25 სამუშაო დღისა, ვალდებულია განიხილოს და მიიღოს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება:

   ა) დაგეგმილი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ;

   ბ) კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვის ვადის გაგრძელების შესახებ, თუ არსებობს გონივრული ეჭვი, რომ შესაძლებელია დაგეგმილი კონცენტრაცია კონკურენტულ გარემოსთან თავსებადი არ იყოს ან თუ, საქმის სირთულიდან გამომდინარე, საჭიროა შესაბამისი საკითხის დამატებით შესწავლა. სააგენტოს მიერ აღნიშნულ ვადაში ერთ-ერთი გადაწყვეტილების მიუღებლობა დადებით პასუხად მიიჩნევა;
7. კანონის 11^1 მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვის ვადის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში სააგენტო ვალდებულია კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინება განიხილოს კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვის ვადის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 90 კალენდარული დღისა. ამ ვადაში სააგენტოს მიერ აღნიშნულ შეტყობინებაზე პასუხის გაუცემლობა დადებით პასუხად მიიჩნევა;
8. იმ ეკონომიკური აგენტების კონცენტრაციის რეგისტრაციისთვის, რომლებსაც ეკისრებათ ამ კანონის 11^1 მუხლით განსაზღვრული კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების ვალდებულება, აუცილებელია, არსებობდეს სააგენტოს გადაწყვეტილება მოსალოდნელი კონცენტრაციის კონკურენტული ეფექტის შესახებ. სააგენტოს მიერ უარყოფითი დასკვნის გაცემა საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ ეკონომიკური აგენტის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველია;
9. კანონის 11^1 მუხლის მე-6 და მე-9 პუნქტებით გათვალისწინებული ვადების ამოწურვამდე ან სააგენტოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე კონცენტრაციის განხორციელება აკრძალულია. სააგენტოს მიერ უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში კონცენტრაციის განხორციელება აკრძალულია;
10. კანონის მე-11 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, კონცენტრაცია, რომელიც არსებითად არ ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას საქართველოს ან მისი ნაწილის სასაქონლო ან მომსახურების ბაზარზე, თავსებადია კონკურენტულ გარემოსთან. ხოლო, კონცენტრაცია, რომელიც ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას - არ არის თავსებადი;
11. „კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების თაობაზე" 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 და "ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე" კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანებებით დამტკიცებული კანონქვემდებარე აქტებით განისაზღვრება დაგეგმილი კონცენტრაციის შეფასების საკითხები. აღნიშნული აქტები მოიცავს, როგორც სასაქონლო

ბაზრის, ასევე დაგეგმილი კონცენტრაციის შეფასების პრინციპებს, შეფასების მეთოდებსა და კრიტერიუმებს;

12. კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად, სააგენტო უფლებამოსილია ეკონომიკურ აგენტს/მხარეს/დაინტერესებულ მხარეს მოსთხოვოს მისი საქმიანობის ან/და კონკრეტული ოპერაციის შესახებ ნებისმიერი ინფორმაციის/დოკუმენტაციის (მათ შორის, კონფიდენციალური ინფორმაციის) წარდგენა, რომელიც საჭიროა სააგენტოს მიერ შესაბამისი უფლებამოსილების განხორციელებისთვის“.

III. ბაზრის ანალიზი

„ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითების დამტკიცების თაობაზე“ სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანების მე-5 მუხლის მიხედვით, შესაბამისი ბაზრის იდენტიფიცირება უნდა მოხდეს შემდეგი სამი პარამეტრის მეშვეობით:

ა) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის პროდუქციული საზღვრები;
ბ) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები;
გ) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის დროითი ჩარჩოები

ა) პროდუქციული საზღვრები

შესაბამისი ბაზრის პროდუქციულ საზღვრებში ექცევა ყველა საქონელი ან მომსახურება, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს ურთიერთჩანაცვლებადად ამ საქონლის/მომსახურების მახასიათებლებიდან, ფასებიდან და მათი გამოყენების მიზნებიდან გამომდინარე.

კონცენტრაციის მონაწილე მხარეები ეკონომიკურ საქმიანობას ახორციელებენ FMCG ბაზარზე. თავის მხრივ, FMCG ბაზარს გააჩნია 4 ძირითადი კატეგორია: 1) საკვები და სასმელი პროდუქტები; 2) თავის მოვლის პროდუქტები; 3) ჯანმრთელობასა და ჰიგიენაზე ზრუნვის პროდუქტები; 4) სახლის მოვლის საშუალებები. შპს „დიპლომატ ჯორჯია“ წარმოდგენილია FMCG ბაზრის ოთხივე კატეგორიაში, ხოლო შპს „კანტი“ - მხოლოდ საკვები და სასმელი პროდუქტების ბაზარზე. შესაბამისად საკვები და სასმელი პროდუქტები წარმოადგენს FMCG ბაზრის კატეგორიას, სადაც ეკონომიკურ საქმიანობას ახორციელებს კონცენტრაციის მონაწილე ორივე ეკონომიკური აგენტი. დამატებით, აღსანიშნავია, რომ კონცენტრაციის მონაწილე მხარეები ეკონომიკურ საქმიანობას ახორციელებენ სადისტრიბუციო მომსახურების ბაზარზეც.

განსახილველ შემთხვევაში, სააგენტო ბაზარზე კონცენტრაციის დონეს აფასებს საკვები და სასმელი პროდუქტების ბაზარზე, სადისტრიბუციო მომსახურების ბაზარზე, თუმცა ამავდროულად ეყრდნობა ევროკომისიის გამოცდილებას - მსგავს შემთხვევებში ბაზრის უფრო ვიწრო სეგმენტაციის საჭიროების არარსებობისას შესაბამისი ბაზრის დეტალური განსაზღვრის საკითხის ღიად დატოვების შესახებ.[1]

[1] https://ec.europa.eu/competition/mergers/cases/decisions/m2529_en.pdf

ბ) გეოგრაფიული საზღვრები

იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ შპს "დიპლომატ ჯორჯია" და შპს "კანტი" ახორციელებენ თავის საქმიანობას საქართველოს ტერიტორიაზე, სააგენტომ გეოგრაფიულ საზღვრად მიიჩნია ეროვნული დონე.

გ) დროითი ჩარჩო

პროდუქციის მიწოდება არ ხასიათდება სეზონურობით, შესაბამისად, ბაზარს არ გააჩნია კონკრეტული დროითი ჩარჩო.

ბაზრის მოცულობა და კონცენტრაციის ინდექსი

„ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითების დამტკიცების თაობაზე" სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანების მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, შესაბამისი სასაქონლო ბაზრის მოცულობა შესაძლებელია განისაზღვროს ქვეყანაში წარმოებული, ქვეყნიდან ექსპორტირებული და იმპორტირებული საქონლის მოცულობების გათვალისწინებით.

შესაბამისი ბაზრის მოცულობის, ჰერფინდალ ჰირშმანის ინდექსის და კონცენტრაციაში მონაწილე ეკონომიკური აგენტების საბაზრო წილის გამოთვლის მიზნით, სააგენტომ შემოსავლების სამსახურიდან გამოითხოვა ინფორმაცია საკვები და სასმელი პროდუქტების 2022 წლის იმპორტის/ექსპორტის შესახებ[2]. სააგენტომ ასევე გამოითხოვა ინფორმაცია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან 2022 წლის განმავლობაში მოქმედი იმ ეკონომიკური აგენტების შესახებ, რომლებიც ეწევიან საკვები და სასმელი პროდუქტების წარმოებას, საბითუმო ვაჭრობას და საცალო ვაჭრობას[3]. ეკონომიკური აგენტების 2022 წლის ბრუნვის იდენტიფიცირება განხორციელდა შემოსავლების სამსახურის გადასახადების ადმინისტრირების სისტემის მეშვეობით (დღგ-ს ყოველთვიური დეკლარაციები)[4].

საქართველოს შემოსავლების სამსახურიდან მიღებული ინფორმაციიდან[5] იდენტიფიცირებულ იქნა ის სასაქონლო პოზიციები, რომელთა იმპორტშიც მონაწილეობენ შპს „დიპლომატ ჯორჯია" და შპს „კანტი".

საკვები და სასმელი პროდუქტების (შერჩეული სასაქონლო პოზიციები) იმპორტს ახორციელებს 883 კომპანია. ბაზრის მოცულობა შეადგენს 368 159 584,59 ლარს, მ. შ. შპს „დიპლომატ ჯორჯიას" იმპორტის მოცულობაა [redacted] ლარი (საერთო მოცულობის [redacted]), ხოლო შპს „კანტის" იმპორტის მოცულობა - [redacted] ლარი (საერთო მოცულობის [redacted]), ბაზრის კონცენტრაციის მაჩვენებელი ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი **HHI=250,69**, რაც დაბალკონცენტრირებული ბაზრის მაჩვენებელია. კონცენტრაციის განხორციელების შემდეგ ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი **HHI=252,32**. კონცენტრაციის ინდექსის ცვლილება **ΔHHI=1,64**.

---

[2] საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს წერილი N02/1938, 03/08/2023.
[3] საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს წერილი N02/1937, 03/08/2023.
[4] ინფორმაცია მხოლოდ დღგ-ს გადამხდელი ეკონომიკური აგენტების შესახებ.
[5] საქართველოს შემოსავლების სამსახურის წერილი N21-11/59758, 24/07/2023 (სააგენტოში რეგ. N01/2460, 24 ივლისი 2023 წ.).

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან მიღებული ინფორმაციიდან[6] ირკვევა, რომ NACE Rev.2 კლასიფიკატორის მიხედვით, შპს „დიპლომატ ჯორჯიას“ ეკონომიკური საქმიანობის კოდია **46.90.0** - არასპეციალიზებული საბითუმო ვაჭრობა, ხოლო შპს „კანტის“ – **46.39.0** - არასპეციალიზებული საბითუმო ვაჭრობა საკვებით, სასმელებით და თამბაქოს ნაწარმით. ამ საქმიანობების შესაბამის ბაზარზე მოქმედებს **1106** ეკონომიკური აგენტი, ბაზრის მოცულობა შეადგენს **4 562 139 613** ლარს, მ. შ. შპს „დიპლომატ ჯორჯიას“ საბითუმო ვაჭრობის მოცულობაა - [redacted] ლარი (საერთო მოცულობის [redacted]), ხოლო შპს „კანტის“ საბითუმო ვაჭრობის მოცულობა **-** [redacted] ლარი (საერთო მოცულობის [redacted]**).** ბაზრის კონცენტრაციის მაჩვენებელი ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი **HHI=213.54**, რაც დაბალკონცენტრირებული ბაზრის მაჩვენებელია. კონცენტრაციის განხორციელების შემდეგ ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი **HHI=232,75**. კონცენტრაციის ინდექსის ცვლილება **ΔHHI=19.22.**

აღნიშნული საქმიანობის გარდა, ეკონომიკური საქმიანობის სახეობები საკვები და სასმელი პროდუქტების საბითუმო ბაზარზე მოიცავს დამატებით 18 პოზიციას (საბითუმო ვაჭრობა კვების პროდუქტებით, სასმელებით და თამბაქოს ნაწარმით, საბითუმო ვაჭრობა შაქრით, შოკოლადით და შაქრიანი საკონდიტრო ნაწარმით, საბითუმო ვაჭრობა სხვა საკვებით, თევზის, კიბოსნაირების და მოლუსკების ჩათვლით, საბითუმო ვაჭრობა მარცვლეულით, დაუმუშავებელი თამბაქოთი, თესლებით და ცხოველების საკვებით, საბითუმო ვაჭრობა ხილით და ბოსტნეულით, საბითუმო ვაჭრობა ხორცით და ხორცის პროდუქტებით, საბითუმო ვაჭრობა ალკოჰოლიანი სასმელებით, საბითუმო ვაჭრობა უალკოჰოლო სასმელებით, საბითუმო ვაჭრობა თამბაქოს პროდუქტებით, საბითუმო ვაჭრობა შაქრით, საბითუმო ვაჭრობა შოკოლადით და შაქრიანი საკონდიტრო, საბითუმო ვაჭრობა პურით და პურფუნთუშეული ნაწარმით, საბითუმო ვაჭრობა ყავით, ჩაით, კაკაოთი და სანელებლებით, საბითუმო ვაჭრობა თევზით, კიბოსნაირებით და მოლუსკებით, საბითუმო ვაჭრობა ფქვილით და ბურღულეულით, საბითუმო ვაჭრობა სხვა საკვებით). ამ ეკონომიკური საქმიანობების გაერთიანებულ ბაზარზე მოქმედებს **3337** ეკონომიკური აგენტი, ბაზრის საერთო მოცულობაა შეადგენს **14 336 244 473** ლარს, მ. შ. შპს „დიპლომატ ჯორჯიას“ საბითუმო ვაჭრობის მოცულობაა - [redacted] ლარი (საერთო მოცულობის [redacted]**),** ხოლო შპს “კანტის“ საბითუმო ვაჭრობის მოცულობა - [redacted] ლარი (საერთო მოცულობის [redacted]), ბაზრის კონცენტრაციის მაჩვენებელი ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი **HHI=90.88,** რაც დაბალკონცენტრირებული ბაზრის მაჩვენებელია. კონცენტრაციის განხორციელების შემდეგ ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი **HHI=92.83.** კონცენტრაციის ინდექსის ცვლილება **ΔHHI=1.95**.

იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ კონცენტრაციის მხარეები საქონლის იმპორტისა და საბითუმო ვაჭრობის გარდა, ეწევიან სადისტრიბუციო საქმიანობასაც, სააგენტომ მიზანშეწონილად ჩათვალა, ა(ა)იპ საქართველოს დისტრიბუტორთა ბიზნეს ასოციაციიდან გამოეთხოვა ინფორმაცია ქვეყანაში მოქმედი სადისტრიბუციო კომპანიების შესახებ.[7] მიღებული ინფორმაციის[8] დამუშავების შედეგად გამოიკვეთა, რომ ასოციაციაში წევრს წარმოადგენს 70 ეკონომიკური აგენტი, რომელთა 2022 წლის საერთო ბრუნვამ შეადგინა **5 508 465 832** ლარი, მათ შორის, შპს „დიპლომატ ჯორჯიას“ წილი შეადგენს საერთო მოცულობის [redacted] ხოლო შპს “კანტის“ წილი - საერთო მოცულობის [redacted] ბაზრის კონცენტრაციის მაჩვენებელი ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი **HHI=479.49**, რაც დაბალკონცენტრირებული ბაზრის მაჩვენებელია. კონცენტრაციის განხორციელების შემდეგ

---

[6] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წერილი N5-1882, 28/07/2023, (სააგენტოში რეგ. N01/2460, 28 ივლისი 2023 წ.).

[7] საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს წერილი N02/2112, 04/08/2023.

[8] ა(ა)იპ საქართველოს დისტრიბუტორთა ბიზნეს ასოციაციის წერილი (სააგენტოში რეგ. N01/2116, 7 აგვისტო, 2023 წ.)

მხარეების საერთო წილი იქნება [redacted] ბაზრის კონცენტრაციის მაჩვენებელი ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი **HHI=498.39**. კონცენტრაციის ინდექსის ცვლილება **ΔHHI=18.90.**

IV. კონკურენციის სააგენტოს შეფასება

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს კონკურენციის ეროვნულმა სააგენტომ დაადგინა, რომ შპს „დიპლომატ ჯორჯიას“ (ს/კ 204557121) მიერ შპს „კანტის“ (ს/კ 200140267) 75%-იანი წილის შეძენით განხორციელებული კონცენტრაცია „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის შესაბამისად, არსებითად არ ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას საქართველოს ან მისი ნაწილის სასაქონლო ან მომსახურების ბაზარზე და თავსებადია კონკურენტულ გარემოსთან.